

სს „გალტ ენდ თაგარტი“

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებით მომზადებული
ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა.....3

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ინდივიდუალური მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....6

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....7

ინდივიდუალური კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....8

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....9

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა	10
2. მომზადების საფუძვლები	11
3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	11
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	21
5. წმინდა საკომისიო შემოსავალი საბროკერო ოპერაციებიდან.....	22
6. წმინდა შემოსავალი საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან	22
7. ადმინისტრაციული ხარჯები	22
8. სხვა ხარჯები, წმინდა.....	22
9. წმინდა საპროცენტო შემოსავალი	23
10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	23
11. ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება	24
12. საინვესტიციო ქონება.....	24
13. არამატერიალური აქტივები	25
14. ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	25
15. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში და სხვა ინვესტიციები	26
16. დასაკუთრებული აქტივები	27
17. ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში	27
18. წინასწარ გადახდილი თანხები	27
19. დებიტორული დავალიანება	27
20. ვადიანი დეპოზიტები.....	28
21. ფული და ფულის ეკვივალენტები.....	28
22. სააქციო კაპიტალი	28
23. საიჯარო ვალდებულება	29
24. კრედიტორული დავალიანება.....	30
25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	30
26. პირობითი აქტივები და ვალდებულებები.....	31
27. ფინანსური რისკის მართვა	32
28. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება	36
29. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები.....	36

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტის“ აქციონერებს:

მოსაზრება

ჩვენ ჩავატარეთ აუდიტი სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტის“ (შემდგომში „კომპანია“) ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგებისა (შემდგომში „ფინანსური ანგარიშგება“), რომელიც შედგება 2025 წლის 31 დეკემბრისთვის მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ინდივიდუალური ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგებისგან, ასევე ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ მდგომარეობას 2025 წლის 31 დეკემბრისთვის, აგრეთვე მისი საქმიანობის ინდივიდუალურ ფინანსურ შედეგებსა და ინდივიდუალურ ფულად ნაკადებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფას სტანდარტები) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი ჩავატარეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის ნაწილში - „*აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე*“.

ჩვენ დამოუკიდებელი ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა და საქართველოში ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელებისას საჭირო ეთიკური ნორმების შესაბამისად. გარდა ამისა, ჩვენ შევასრულეთ ამ ნორმებითა და ბესსს-ის ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია კომპანიის ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს 2025 წლის მმართველობით ანგარიშს. სავარაუდოდ, 2025 წლის მმართველობითი ანგარიში ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება აუდიტორის დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე. ჩვენ მიერ ჩატარებულ ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. როდესაც გავეცნობით 2025 წლის მმართველობით ანგარიშს, თუ დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს მასში, გვევალება ამ საკითხის ინფორმირება მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირებისთვის. ასევე ჩვენი ვალდებულებაა ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება კომპანიის 2025 წლის მმართველობის ანგარიშის „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით („კანონი“) განსაზღვრული ნაწილების ამ

კანონთან შესაბამისობაზე და არსებითი უზუსტობების შემთხვევაში მივუთითოთ მათ არსზე, ასევე, განვაცხადოთ მმართველობის ანგარიშგებაში კანონით განსაზღვრული რაიმე ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირთა პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია კომპანიის ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად კომპანიის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირები პასუხისმგებლები არიან კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ის შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ის შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ ასევე:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდებთ შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ექვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორულ დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.

- ▶ ვაფასებთ ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

მიხეილ აბაიძე/ სერთიფიცირებული აუდიტორი / პარტნიორი

შპს „მოორ ეიზისი“

აუდიტორული კომპანიის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-F-320544

აუდიტორის რეგისტრაციის ნომერი: SARAS-A-865011

თარიღი: 31 მარტი 2026

თბილისი, საქართველო



სს “გალტ ენდ თაგარტი”
 ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ქართული ლარი)

	შენიშვნა	2025	2024
წმინდა საკომისიო შემოსავალი საბროკერო ოპერაციებიდან	5	12,574,931	9,539,049
წმინდა შემოსავალი საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან	6	7,369,280	9,116,877
სულ წმინდა შემოსავალი		19,944,211	18,655,926
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(13,859,694)	(13,246,293)
წმინდა მოგება/(ზარალი) ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან		30,331	(19,385)
რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში მოგების/(ზარალის) წილი მეკავშირე საწარმოში	15	11,654	-
სხვა ხარჯები, წმინდა	8	(74,508)	(141,822)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		6,051,994	5,248,426
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	9	3,116,165	1,925,098
გაცემული სესხის გაუფასურების ხარჯი		(227,009)	(251,793)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	10	379,936	297,574
მოგება დაბეგვრამდე		9,318,086	7,219,305
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		9,318,086	7,219,305
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის შემოსავალი		9,318,086	7,219,305

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2026 წლის 31 მარტს.

გენერალური დირექტორი

გიორგი კუპრაშვილი

ფინანსური დირექტორი

ირაკლი ანდრიაძე

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2025	2024
წმინდა საკომისიო შემოსავალი საბროკერო ოპერაციებიდან	5	12,574,931	9,539,049
წმინდა შემოსავალი საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან	6	7,369,280	9,116,877
სულ წმინდა შემოსავალი		19,944,211	18,655,926
ადმინისტრაციული ხარჯები	7	(13,859,694)	(13,246,293)
წმინდა მოგება/(ზარალი) ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ცვლილებიდან		30,331	(19,385)
რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში მოგების/(ზარალის) წილი მეკავშირე საწარმოში	15	11,654	-
სხვა ხარჯები, წმინდა	8	(74,508)	(141,822)
საოპერაციო მოგება / (ზარალი)		6,051,994	5,248,426
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	9	3,116,165	1,925,098
გაცემული სესხის გაუფასურების ხარჯი		(227,009)	(251,793)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა	10	376,936	297,574
მოგება დაბეგვრამდე		9,318,086	7,219,305
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის წმინდა მოგება		9,318,086	7,219,305
სხვა სრული შემოსავალი			
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის შემოსავალი		9,318,086	7,219,305

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2026 წლის 31 მარტს.

გენერალური დირექტორი

გიორგი კუპრაშვილი

ფინანსური დირექტორი

ირაკლი ანდრიაძე

სს "გალტ ენდ თაგარტი"
ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

შენიშვნა	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024 რეკლასიფიცირებული*
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება	11 1,988,616	1,006,661
საინვესტიციო ქონება	12 1,894,117	1,768,117
არამატერიალური აქტივები	13 378,331	526,679
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	14 384,432	458,940
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	15 631,675	620,022
წინასწარ გადახდილი თანხები	18 -	133,737
სულ გრძელვადიანი აქტივები	5,277,171	4,514,156
მიმდინარე აქტივები		
დასაკუთრებული აქტივები	16 1,472,752	-
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით	17 1,864,155	1,713,358
მოგება/ზარალში ასახვით		
გაცემული სესხები	-	1,543,413
წინასწარ გადახდილი თანხები	18 177,557	75,960
დებიტორული დავალიანება	19 2,113,643	3,253,490
მოკლევადიანი დეპოზიტები	20 1,742,731	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	21 9,553,553	6,453,944
სულ მიმდინარე აქტივები	16,924,391	13,040,165
სულ აქტივები	22,201,562	17,554,321
კაპიტალი და ვალდებულებები		
კაპიტალი		
სააქციო კაპიტალი	22 1,461,987	1,461,987
საემისიო კაპიტალი	22 2,761,786	2,761,786
სხვა რეზერვი	22/28 (1,234,838)	(1,047,382)
გაუნაწილებელი მოგება	13,859,811	10,541,725
სულ კაპიტალი	16,848,746	13,718,116
გრძელვადიანი ვალდებულებები		
საიჯარო ვალდებულება	23 721,248	171,013
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	721,248	171,013
მიმდინარე ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	24 4,041,772	3,369,482
საიჯარო ვალდებულება	23 589,796	295,710
სულ მიმდინარე ვალდებულებები	4,631,568	3,665,192
სულ ვალდებულებები	5,352,816	3,836,205
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	22,201,562	17,554,321

*იხილეთ განმარტებითი შენიშვნა N28

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2026 წლის 31 მარტს.

გენერალური დირექტორი

გიორგი კუპრაშვილი



ფინანსური დირექტორი

ირაკლი ანდრიაძე



სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2025	31 დეკემბერი, 2024 რეკლასიფიცირებული*
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება	11	1,988,616	1,006,661
საინვესტიციო ქონება	12	1,894,117	1,768,117
არამატერიალური აქტივები	13	378,331	526,679
ინვესტიცია შვილობილ კომპანიაში	14	384,432	458,940
ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში	15	631,675	620,022
წინასწარ გადახდილი თანხები	18	-	133,737
სულ გრძელვადიანი აქტივები		5,277,171	4,514,156
მიმდინარე აქტივები			
დასაკუთრებული აქტივები	16	1,472,752	-
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში ასახვით	17	1,864,155	1,713,358
გაცემული სესხები		-	1,543,413
წინასწარ გადახდილი თანხები	18	177,557	75,960
დებიტორული დავალიანება	19	2,113,643	3,253,490
მოკლევადიანი დეპოზიტები	20	1,742,731	-
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	9,553,553	6,453,944
სულ მიმდინარე აქტივები		16,924,391	13,040,165
სულ აქტივები		22,201,562	17,554,321
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	22	1,461,987	1,461,987
საემისიო კაპიტალი	22	2,761,786	2,761,786
სხვა რეზერვი	22/28	(1,234,838)	(1,047,382)
გაუნაწილებელი მოგება		13,859,811	10,541,725
სულ კაპიტალი		16,848,746	13,718,116
გრძელვადიანი ვალდებულებები			
საიჯარო ვალდებულება	23	721,248	171,013
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		721,248	171,013
მიმდინარე ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება	24	4,041,772	3,369,482
საიჯარო ვალდებულება	23	589,796	295,710
სულ მიმდინარე ვალდებულებები		4,631,568	3,665,192
სულ ვალდებულებები		5,352,816	3,836,205
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		22,201,562	17,554,321

*იხილეთ განმარტებითი შენიშვნა N28

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2026 წლის 31 მარტს.

გენერალური დირექტორი

გიორგი კუპრაშვილი

ფინანსური დირექტორი

ირაკლი ანდრიაძე

სს "გალტ ენდ თაგარტი"

ინდივიდუალური კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება


2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სააქციო ბონუსების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2023	1,461,987	2,761,786	-	7,322,421	11,546,194
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	-	7,219,304	7,219,304
გაცემული დივიდენდი	-	-	-	(4,000,000)	(4,000,000)
სხვა რეზერვის წმინდა ცვლილება	-	-	(1,047,382)	-	(1,047,382)
31 დეკემბერი 2024 რეკლასიფიცირებული*	1,461,987	2,761,786	(1,047,382)	10,541,725	13,718,116
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	-	9,318,086	9,318,086
სხვა რეზერვის წმინდა ცვლილება	-	-	(187,456)	-	(187,456)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	(6,000,000)	(6,000,000)
31 დეკემბერი 2025	1,461,987	2,761,786	(1,234,838)	13,859,811	16,848,746

*იხილეთ განმარტებითი შენიშვნა N28

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2026 წლის 31 მარტს.

გენერალური დირექტორი
გიორგი კუპრაშვილი



ფინანსური დირექტორი
ირაკლი ანდრიაძე



სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

	სააქციო კაპიტალი	საემისიო კაპიტალი	სააქციო ბონუსების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2023	1,461,987	2,761,786	-	7,322,421	11,546,194
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	-	7,219,304	7,219,304
გაცემული დივიდენდი	-	-	-	(4,000,000)	(4,000,000)
სხვა რეზერვის წმინდა ცვლილება	-	-	(1,047,382)	-	(1,047,382)
31 დეკემბერი 2024 რეკლასიფიცირებული*	1,461,987	2,761,786	(1,047,382)	10,541,725	13,718,116
სულ წლის სრული შემოსავალი	-	-	-	9,318,086	9,318,086
სხვა რეზერვის წმინდა ცვლილება	-	-	(187,456)	-	(187,456)
გაცემული დივიდენდი	-	-	-	(6,000,000)	(6,000,000)
31 დეკემბერი 2025	1,461,987	2,761,786	(1,234,838)	13,859,811	16,848,746

*იხილეთ განმარტებითი შენიშვნა N28

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2026 წლის 31 მარტს.

გენერალური დირექტორი

გიორგი კუპრაშვილი

ფინანსური დირექტორი

ირაკლი ანდრიაძე

სს "გალტ ენდ თაგარტი"
ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)


	შენიშვნა	2025	2024 რეკლასიფი ცირებული*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგვრამდე:		9,318,086	7,219,305
ცვეთა და ამორტიზაცია	11/13	815,742	690,124
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		5,493	10,888
გაცემული სესხის ჩამოწერა		227,009	251,793
(მოგება)/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	10	98,593	(193,533)
უიმედო ვალების ჩამოწერის ხარჯი	7	-	60,680
დებიტორული დავალიანების გაუფასურების (შემცირება)/აღდგენა, წმინდა	19	(136,875)	-
წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურებული ბონუსის ხარჯი	22	1,384,153	-
საპროცენტო შემოსავალი	9	(3,132,025)	(1,941,626)
საპროცენტო ხარჯი	23	15,854	16,529
შემოსულობები საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	12	(126,000)	(69,117)
მოგების/(ზარალის) წილი მეკავშირე საწარმოში	15	(11,653)	-
შვილობილში ინვესტიციის გაუფასურების ხარჯი	14	74,508	141,060
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე		8,532,885	6,186,103
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების შემცირება/(ზრდა)		(190,345)	505,722
წინასწარ გადახდილი თანხების შემცირება/(ზრდა)		32,140	589,917
შეზღუდული ფულის შემცირება/(ზრდა)		-	67,235
დებიტორული დავალიანების შემცირება/(ზრდა)		1,249,560	(2,047,572)
კრედიტორული დავალიანების ზრდა / (შემცირება)		788,800	530,741
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები პროცენტამდე		10,369,442	5,832,146
მიღებული პროცენტი		2,789,515	1,635,926
გადახდილი დივიდენდი	22	(6,000,000)	(4,000,000)
გადახდილი პროცენტი	23	(15,854)	(16,529)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		7,143,103	3,451,543
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(327,575)	(211,401)
არამატერიალური აქტივების შეძენა	13	(136,676)	(189,312)
დასაკუთრებული აქტივების შეძენა	16	(1,472,752)	-
დეპოზიტების განთავსება	20	(1,581,635)	-
გაცემული სესხის ძირის დაფარვა		1,439,805	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,078,833)	(400,713)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
იჯარის ვალდებულების ძირის გადახდა	23	(304,632)	(329,182)
წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების შენატანები	22	(1,571,609)	(1,047,383)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,876,241)	(1,376,565)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში		3,188,029	1,674,265
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	21	6,453,944	4,642,810
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(88,420)	136,869
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	21	9,553,553	6,453,944

*იხილეთ განმარტებითი შენიშვნა N28

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2026 წლის 31 მარტს.

გენერალური დირექტორი

გიორგი კუპრაშვილი



ფინანსური დირექტორი

ირაკლი ანდრიაძე



სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

	შენიშვნა	2025	2024 რეკლასიფი ცირებული*
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან			
წლის მოგება დაბეგრამდე:		9,318,086	7,219,305
ცვეთა და ამორტიზაცია	11/13	815,742	690,124
ძირითადი საშუალებების ჩამოწერა		5,493	10,888
გაცემული სესხის ჩამოწერა		227,009	251,793
(მოგება)/ზარალი კურსთა შორის სხვაობიდან	10	98,593	(193,533)
უიმედო ვალების ჩამოწერის ხარჯი	7	-	60,680
დებიტორული დავალიანების გაუფასურების (შემცირება)/აღდგენა, წმინდა	19	(136,875)	-
წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურებული ბონუსის ხარჯი	22	1,384,153	-
საპროცენტო შემოსავალი	9	(3,132,025)	(1,941,626)
საპროცენტო ხარჯი	23	15,854	16,529
შემოსულობები საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	12	(126,000)	(69,117)
მოგების/(ზარალის) წილი მკვეთრე საწარმოში	15	(11,653)	-
შვილობილში ინვესტიციის გაუფასურების ხარჯი	14	74,508	141,060
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებამდე		8,532,885	6,186,103
სავაჭროდ ფლობილი ფასიანი ქაღალდების შემცირება/(ზრდა)		(190,345)	505,722
წინასწარ გადახდილი თანხების შემცირება/(ზრდა)		32,140	589,917
შეზღუდული ფულის შემცირება/(ზრდა)		-	67,235
დებიტორული დავალიანების შემცირება/(ზრდა)		1,249,560	(2,047,572)
კრედიტორული დავალიანების ზრდა / (შემცირება)		788,800	530,741
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი სახსრები პროცენტამდე		10,369,442	5,832,146
მიღებული პროცენტი		2,789,515	1,635,926
გადახდილი დივიდენდი	22	(6,000,000)	(4,000,000)
გადახდილი პროცენტი	23	(15,854)	(16,529)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		7,143,103	3,451,543
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალებების შეძენა	11	(327,575)	(211,401)
არამატერიალური აქტივების შეძენა	13	(136,676)	(189,312)
დასაკუთრებული აქტივების შეძენა	16	(1,472,752)	-
დეპოზიტების განთავსება	20	(1,581,635)	-
გაცემული სესხის ძირის დაფარვა		1,439,805	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(2,078,833)	(400,713)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
იჯარის ვალდებულების ძირის გადახდა	23	(304,632)	(329,182)
წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების შენატანები	22	(1,571,609)	(1,047,383)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(1,876,241)	(1,376,565)
ფულის და ფულის ეკვივალენტების წმინდა ცვლილება წლის განმავლობაში		3,188,029	1,674,265
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		6,453,944	4,642,810
კურსთაშორის სხვაობის გავლენა ფულსა და ფულის ეკვივალენტებზე		(88,420)	136,869
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		9,553,553	6,453,944

*იხილეთ განმარტებითი შენიშვნა N28

გამოსაცემად დამტკიცდა და ხელი მოეწერა 2026 წლის 31 მარტს.

გენერალური დირექტორი

ფინანსური დირექტორი

გიორგი კუპრაშვილი

ირაკლი ანდრიაძე

სს „გალტ ენდ თაგარტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

1. ძირითადი საქმიანობა

ა) კომპანია და მისი საქმიანობა

სს „გალტ ენდ თაგარტი“ (შემდეგში „კომპანია“) დაფუძნდა 1995 წლის 19 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია მუშაობს საქართველოში ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ 2014 წლის 10 სექტემბერს გაცემული საბროკერო საქმიანობის ლიცენზიის შესაბამისად. 2000-2009 წლებში კომპანია საქმიანობას ეწეოდა სახელწოდებით „გალტ ენდ თაგარტ სექიურითის“, ხოლო 2009-2014 წლებში - „ბიჯი კაპიტალი“. 2014 წლის 26 აგვისტოდან კომპანიის სახელია - სააქციო საზოგადოება „გალტ ენდ თაგარტი“ (ს/კ 211359206).

2025 წლისა და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოადგენს სს „ბიჯი ფაინანშიალ“-ის სრულად ფლობილ (100%) შვილობილ კომპანიას, კომპანიის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის Lion Finance Group PLC, რომელიც რეგისტრირებულია ლონდონის საფონდო ბირჟაზე (ტიკერი: BGEOLN).

გალტ ენდ თაგარტი წამყვანი საინვესტიციო ბანკი და საბროკერო კომპანიაა საქართველოს ბაზარზე. კომპანია კლიენტებს სთავაზობს ყველა ტიპის საინვესტიციო-საბანკო მომსახურებას, როგორცაა საბროკერო, კვლევები და საკონსულტაციო მომსახურება, საინვესტიციო-საბანკო მომსახურება, და საინვესტიციო მართვა. გალტ ენდ თაგარტის გუნდი აერთიანებს 50-ზე მეტ პროფესიონალს.

კომპანია საზღვარგარეთ რეგისტრირებული შემდეგი შვილობილი საწარმოს მშობელი კომპანიაა:

შვილობილი კომპანია	ხმის უფლებისა და ფლობილი ჩვეულებრივი კაპიტალის %			რეგისტრაციის თარიღი
	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024	დაფუძნების ქვეყანა	
Galt and Taggart Holding Limited	99.23%	99.23%	კვიპროსის რესპუბლიკა	3 ივლისი 2006

კომპანია რეგისტრირებულია და საქმიანობს შემდეგ მისამართზე: საქართველო, თბილისი, კრწანისის რაიონი, პუშკინის ქ., N 3.

ბ) საოპერაციო გარემო

კომპანია ძირითადად საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. ისეთი განვითარებადი ეკონომიკა, როგორც საქართველოა, ექვემდებარება სწრაფ ცვლილებას და მოწყვლადია გლობალური საბაზრო პირობებისა და ეკონომიკური ვარდნის მიმართ. შედეგად, საქართველოში განხორციელებულ საქმიანობას შეიძლება ახლდეს რისკები, რომლებიც, როგორც წესი, უცხოა განვითარებული ბაზრებისთვის. მიუხედავად ამისა, გასული რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამოქალაქო, სისხლის სამართლის, საგადასახადო ადმინისტრაციული და კომერციული რეფორმები, რამაც დადებითი გავლენა მოახდინა ზოგადად ქვეყნის საინვესტიციო კლიმატზე.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

2. მომზადების საფუძვლები

ა) ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბასსს) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასსს) შესაბამისად და ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებით.

ფინანსური ანგარიშგების ფასსს-ების შესაბამისად მომზადება ითხოვს გარკვეული შეფასებებისა და დაშვებების გაკეთებას. ის ასევე მოითხოვს კომპანიის ხელმძღვანელობისაგან, რომ მსჯელობის საფუძველზე მოახდინოს ყველაზე შესაფერისი სააღრიცხვო პოლიტიკის მიღება და დანერგვა. ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები მოცემულია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მე-3 შენიშვნაში. სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენება ხორციელდება უწყვეტად ყველა წლისთვის, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. კომპანიას ასევე გამოშვებული აქვს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება იმავე თარიღით რა თარიღითაც არის გამოშვებული ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ახალი ან შეცვლილი სააღრიცხვო სტანდარტები და ინტერპრეტაციები

კომპანიამ დანერგა და გაითვალისწინა ყველა ახალი და შეცვლილი სააღრიცხვო სტანდარტები და ინტერპრეტაციები ბასსს მიერ გამოშვებული რომელიც იყო სავალდებულო მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში.

ახალი ან შეცვლილი სააღრიცხვო სტანდარტები და ინტერპრეტაციები ადრეული გამოყენება

კომპანიის მიერ არ მომხდარა ადრეულად იმ სტანდარტების და ინტერპრეტაციების დანერგვა და გავლენის შეფასება, რომელიც გამოიცა მაგრამ ჯერ არ არის ძალაშესული 2025 წლის 31 დეკემბრით დასრულებულ საანგარიშგებო პერიოდში.

3. სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ქვემოთ აღწერილი სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომელიც გამოყენებულია წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე თუ სხვაგვარად არაა აღნიშნული.

ინვესტიცია შვილობილ და მეკავშირე საწარმოებში

კომპანია აღრიცხავს შვილობილ საწარმოში ინვესტიციას ამ ინვესტიციის საწყისი ღირებულებით სანამ არ მოხდება ინვესტიციის აღიარების შეწყვეტა ან გაუფასურება მის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

მეკავშირე საწარმოები წარმოადგენენ საწარმოებს, რომლებშიც კომპანია ზოგადად ფლობს ხმის უფლების 20%-დან 50%-მდე, ან სხვაგვარად შესწევს უნარი მოახდინოს მნიშვნელოვანი ზემოქმედება, მაგრამ რომელსაც ის არ აკონტროლებს ან სხვა პირთან ერთად აკონტროლებს. მეკავშირე საწარმოებში ინვესტიციები აღიარდება წილობრივი მეთოდით და თავდაპირველად მათი აღიარება ხდება თვითღირებულებასა და იდენტიფიცირებად წმინდა აქტივებსა და ვალდებულებებში კომპანიის წილს შორის უდიდესით. თუ იდენტიფიცირებადი წმინდა აქტივებისა და ვალდებულებების წილი უფრო მაღალია, ვიდრე საზღაურის თანხა შეძენისას, ზედმეტობა აღიარდება ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, „მოგების/(ზარალის) წილი მეკავშირე საწარმოში“ მუხლში. შემდგომი ცვლილებები საბალანსო ღირებულებაში ასახავს მეკავშირე საწარმოში ჯგუფის წმინდა აქტივების წილში შესყიდვის შემდგომ მომხდარ ცვლილებებს.

ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

ტრანზაქციები და ნაშთები

ფულადი აქტივები და ვალდებულებები კონვერტირდება თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაში შესაბამისი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) სავალუტო კურსით. უცხოური ვალუტის შემოსულობები და ზარალი, რომელიც წარმოქმნილია ტრანზაქციების ანგარიშსწორებიდან და წლის ბოლოს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების თითოეული საწარმოს სამუშაო ვალუტაშია, აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. ნასესხებ სახსრებთან და ფულად სახსრებსა და მათ ექვივალენტებთან დაკავშირებული სავალუტო შემოსულობები და ზარალი, აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „ფინანსურ შემოსავალში ან დანახარჯებში“. ყველა დანარჩენი სავალუტო შემოსულობა და ზარალი აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში და სხვა სრულ შემოსავალში, „სხვა შემოსულობა/(ზარალი), - ნეტო“. წლის ბოლოს არსებული კურსით კონვერტაცია არ ვრცელდება არაფულად მუხლებზე, რომელთა შეფასება ხორციელდება პირვანდელი ღირებულებით. უცხოურ ვალუტაში შეფასებული არაფულადი მუხლები, წილობრივი ინვესტიციების ჩათვლით, გადაანგარიშდება რეალური ღირებულების განსაზღვრის თარიღით არსებული სავალუტო კურსით. სავალუტო კურსის ცვლილებების გავლენა უცხოურ ვალუტაში რეალური ღირებულებით შეფასებულ არაფულად მუხლებზე აღირიცხება, როგორც რეალური ღირებულების შემოსულობის ან ზარალის ნაწილი.

2025 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი USD 1 = GEL 2.6951, EUR 1 = GEL 3.1737, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი GBP 1 = GEL 3.6446 და შვეიცარიული ფრანკი CHF 1 = 3.4197

2024 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: USD 1 = GEL 2.8068, EUR 1 = GEL 2.9306, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი GBP 1 = GEL 3.5349 და შვეიცარიული ფრანკი CHF 1 = 3.1118.

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ძირითადი ვალუტის კურსები, რომლებიც გამოყენებულ იქნა უცხოურ ვალუტაში გამოსახული ნაშთების გადაანგარიშებისთვის, გახლდათ შემდეგი: აშშ დოლარი USD 1 = GEL 2.6894, ევრო EUR 1 = GEL 2.9753, დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი GBP 1 = GEL 3.4228 და შვეიცარიული ფრანკი CHF 1 = 3.2085.

ამონაგების აღიარება

კომპანია აღიარებს ამონაგებს დაპირებული საქონლის ან მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემისას, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღების უფლებასაც კომპანია მოელის ამ საქონლის გადაცემის სანაცვლოდ. კომპანია იყენებს ხუთ საფეხურიან მოდელს მომხმარებელთან გაფორმებული ყველა ხელშეკრულების მიმართ:

- მომხმარებელთან ხელშეკრულების იდენტიფიცირება;
- სახელშეკრულებო ვალდებულებების დადგენა;
- გარიგების ფასის განსაზღვრა;
- გარიგების ფასის მიკუთვნება სახელშეკრულებო ვალდებულებასთან;
- შემოსავლის აღიარება, როდესაც (ან თუ) პირი სახელშეკრულებო ვალდებულებას შეასრულებს.

კომპანია ამონაგებს აღიარებს სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებისას, ანუ მაშინ, როდესაც შესაბამის ვალდებულებასთან დაკავშირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე “კონტროლი” მომხმარებელს გადაეცემა.

შესასრულებელი ვალდებულება და ამონაგების აღიარების დროულობა

კომპანიის ამონაგების ძირითად ნაწილს წარმოადგენს საკომისიო სავაჭრო პლატფორმაზე კლიენტების დავალებით აქციებით ვაჭრობის მომსახურების გაწევისთვის და საკომისიოს ბონდების განთავსებიდან.

ამონაგები საბროკერო საქმიანობიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საერთაშორისო საბროკერო პლატფორმაზე ფასიანი ქაღალდებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ მომსახურებას. მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას (აქციების ყიდვა, გაყიდვა, თანხების გადარიცხვა და სხვა), დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე ამონაგები ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

ამონაგები ბონდების განთავსებიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს ბონდების გამოშვებასთან, შექმნასთან მიმოქცევასთან და მიწოდებასთან დაკავშირებული მომსახურებას. ობლიგაციის განთავსებიდან კომპანია, ამონაგებს აღიარებს ბონდების შემქმნისათვის გადაცემის მომენტში.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

შემოსავალი საკომისიო, საინვესტიციო საბანკო, საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან

კომპანია კლიენტებს სთავაზობს საკომისიო, საინვესტიციო, საბანკო, საკონსულტაციო და კვლევით მომსახურებას. მომსახურების გაწევა კლიენტის მიერ მოთხოვნილი ტრანზაქციის განხორციელებისას დროის კონკრეტულ მომენტში ხდება, აღნიშნულ ოპერაციებზე ამონაგები ტრანზაქციის შესრულების დღეს აღიარდება.

საკონტრაქტო ღირებულების განსაზღვრა

კომპანიის ამონაგები ბონდებიდან წარმოადგენს მათი განთავსების ღირებულების ხელშეკრულებით განსაზღვრულ პროცენტს, თითოეული განთავსებიდან მიღებული ამონაგების დაანგარიშება ხდება აღნიშნული განაკვეთით. ობლიგაციის თანმდევი აგენტის მომსახურების წლიური ღირებულება ფიქსირებული თანხაა ყველა კლიენტისთვის. საბროკერო პლატფორმაზე ვაჭრობის საკომისიო განსხვავდება ფინანსური ინსტრუმენტის და სავაჭრო ბირჟის მიხედვით.

შესასრულებელ ვალდებულებებს შორის ღირებულების გადანაწილება

კომპანიის კონტრაქტები არის ფიქსირებულ ფასიანი. კონტრაქტში თითოეული ვალდებულებისთვის მითითებულია შესაბამისი საკომისიო.

ხარჯები

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

ხელფასის, სარგოს, ანაზღაურებადი შვებულებისა და ბიულეტენის, ბონუსებისა და არაფულადი სარგებლის დარიცხვა ხორციელდება იმ წლის განმავლობაში, როდესაც გაწეულ იქნა დაკავშირებული მომსახურება კომპანიის თანამშრომლების მიერ. კომპანიას არ გააჩნია იურიდიული ან კონსტრუქციული მოვალეობა, რომ განახორციელოს

საპენსიო ან მსგავსი სარგებლის გადახდები გარდა კანონით განსაზღვრულ დადგენილშენატანიან სქემებში გადახდებისა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი ასახულია ფინანსურ ანგარიშგებაში არსებული საანგარიშგებო პერიოდისთვის ძალაში შესული კანონმდებლობის შესაბამისად.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით კომპანიები (გარდა ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ლომბარდებისა) ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება ან აღიარებული განაწილება დივიდენდის სახით.

მოგების გადასახადის განაკვეთია 15% დარიცხულ თანხაზე (ანუ ნეტო დივიდენდები იბეგრება 5%- იანი განაკვეთით და დარიცხული თანხის მისაღებად უნდა გაიყოს 0.85-ზე) ფიზიკური პირების ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისათვის დივიდენდის გადახდის მომენტში. რეზიდენტ იურიდიულ პირებზე 2017 წლის 1 იანვრიდან მოგებიდან გადახდილი დივიდენდები არ იბეგრება.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი ავანსი საწარმოებზე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოებისაგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ ‘გადასახადებში’, და არა მოგების გადასახადში.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული დაგროვილი ცვეთის თანხით ან გაუფასურების ანარცხებით.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ მსგავსი ნიშნები არსებობს, ხელმძღვანელობა შეაფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული რეალური ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესით. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების დადგენისას გამოყენებულ ბუღალტრულ შეფასების ცვლილებების შემთხვევაში შეიძლება მოხდეს წინა წლებში ასახული გაუფასურების ზარალის კორექტირება.

ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობები და ზარალი განისაზღვრება შემოსული თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება მოცემული წლის მოგება-ზარალში.

მიწას და დაუმონტაჟებელ მოწყობილობებს ცვეთა არ ერიცხება. სხვა ძირითადი საშუალებების ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდის გამოყენებით, მათი ღირებულების გადასანაწილებლად მათ დარჩენილ სასარგებლო მომსახურების ვადაზე:

სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)	
კომპიუტერული ტექნიკა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება იჯარის ვადით.

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის შეფასებული ღირებულება, რომელსაც კომპანია ამჟამად მიიღებდა აქტივის გასვლიდან, გასვლასთან დაკავშირებული დანახარჯების გამოკლებით, სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულების შემდგომ მისი მდგომარეობის გათვალისწინებით. აქტივების ნარჩენი ღირებულებები და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და კორექტირდება, საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

იჯარა

კომპანია იჯარით იღებს სათაო ოფისს. აქტივის გამოყენების უფლება წარმოდგენილია ძირითად საშუალებებთან ერთად ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალურ ანგარიშგებაში.

აქტივები, რომლებიც იჯარიდან წარმოიშვება თავდაპირველად ფასდება მიმდინარე ღირებულების საფუძველზე.

აქტივის გამოყენების უფლება თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით და მოიცავს შემდეგს:

- საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას,
- საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს, და
- იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს,

იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით.

აქტივის გამოყენების უფლება საერთო გაუფასურებას ექვემდებარება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმოკლესი პერიოდის განმავლობაში, წრფივი მეთოდის საფუძველზე.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის კომპანიის მფლობელობაში არსებული ქონება, რომელიც ემსახურება საიჯარო შემოსავლის მიღების ან კაპიტალის ღირებულების გაზრდას, ან ორივე მიზანს ერთად, და კომპანიის მიერ არ გამოიყენება საკუთარი საოპერაციო საქმიანობის განსახორციელებლად.

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით, გარიგების დანახარჯების ჩათვლით, შემდეგ კი ხდება მისი ხელახლა შეფასება რეალური ღირებულებით, რათა აისახოს საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული საბაზრო პირობები. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება არის ფასი, რა ფასადაც შესაძლებელი იქნებოდა ამ ქონების გაყიდვა ჩვეულებრივი გარიგებით, გარიგების დანახარჯების გამოქვითვის გარეშე. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებას წარმოადგენს მსგავსი ქონების ღირებულება აქტიურ ბაზარზე, რომელიც მდებარეობს იგივე ადგილას იგივე პირობებით.

კომპანიის საინვესტიციო ქონების საბაზრო ღირებულება განისაზღვრება კომპანიის შიდა ექსპერტის ან დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ, რომელთაც აქვთ შესაფერისი პროფესიული კვალიფიკაცია და გამოცდილება. გამოუმუშავებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წლის მოგება-ზარალში, შემოსავალი საინვესტიციო ქონებიდან. საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულების ცვლილებიდან წარმოქმნილი შემოსულობები და ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში.

არამატერიალური ქონება

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები ფასდება მათი პირველადი აღიარებისას თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდეგ, არამატერიალური აქტივი აღირიცხება შეძენის ფაქტობრივი ღირებულებას გამოკლებული ნებისმიერი დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალური აქტივები ამორტიზირდება წრფივი მეთოდით მათ სასარგებლო მომსახურების ვადაზე და ხდება მისი შეფასება გაუფასურებაზე როდესაც არსებობს ნიშანი, რომ არამატერიალური აქტივი შესაძლოა გაუფასურდეს. საამორტიზაციო პერიოდი და ამორტიზაციის მეთოდი, არამატერიალური აქტივისთვის შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადით გადაიხედება სულ მცირე თითოეული სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც სააღრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

არა-ფინანსური აქტივების გაუფასურება

თითოეულ საანგარიშო პერიოდში, ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები განიხილება, რათა დადგინდეს არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება, რომ ამ აქტივებმა განიცადა გაუფასურების დანაკარგი. თუ არსებობს მინიშნება შესაძლოა გაუფასურებაზე, ნებისმიერი ასეთი აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივის ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება შეფასდება და შედარდება მის საბალანსო მაჩვენებელთან, თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება არის უფრო მცირე, საბალანსო მაჩვენებელი შემცირდება მის შეფასებულ ანაზღაურებად ღირებულებამდე, და გაუფასურების დანაკარგი აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

თუ გაუფასურების დანაკარგი არაფინანსური აქტივებისათვის მითითებულია, აქტივის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფის) საბალანსო ღირებულება იზრდება მისი ანაზღაურებადი ღირებულების კორექტირებულ შეფასებამდე, მაგრამ არა უმეტეს იმ თანხისა, რაც განსაზღვრული იქნებოდა აქტივისთვის (ან მასთან დაკავშირებული აქტივთა ჯგუფისთვის), რომელსაც არ ჰქონდა გაუფასურების დანაკარგი წინა წლებში. ადრე აღიარებული გაუფასურების დანაკარგის აღდგენა აღიარებული იქნება დაუყოვნებლივ მოგება-ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები

ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია გარიგების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც კომპანიამ აქტივის ან ვალდებულების შესყიდვის ვალდებულება იკისრა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რომელიც მოითხოვს აქტივების და ვალდებულებების გადაცემას კანონმდებლობით ბაზარზე ზოგადად არსებული პრაქტიკით განსაზღვრულ პერიოდში. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს ინსტრუმენტის მართვის ბიზნესმოდელიდან და სახელშეკრულებლო პირობებიდან გამომდინარე ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთით: ამორტიზირებული ღირებულება; სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში; სამართლიანი ღირებულება მოგებაში ან ზარალში.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

ბიზნეს-მოდელი ასახავს, როგორ მართავს კომპანია თავის აქტივებს ფულადი ნაკადების წარმოსაქმნელად - კომპანიის მიზანია (i) აქტივიდან მხოლოდ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად ფლობილი”), თუ (ii) როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება, ისე აქტივების გაყიდვიდან წარმოქმნილი ფულადი ნაკადების მიღება (“სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოსაღებად და გასაყიდად ფლობილი”) ან, თუ არც (i) და არც (ii) შესაფერისი არ არის, ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება „სხვა“ ბიზნეს-მოდელში და შეფასდება რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით.

კომპანიის აქტივებისთვის (პორტფელის დონეზე) ბიზნეს-მოდელი განისაზღვრება კომპანიის მიერ შეფასების თარიღით ხელმისაწვდომი პორტფელისთვის დადგენილი მიზნების მისაღწევად განხორციელებული საქმიანობის შესახებ შესაფერისი მტკიცებულების საფუძველზე. კომპანიის მიერ ბიზნეს-მოდელის განსაზღვრისთვის გათვალისწინებული ფაქტორები მოიცავს პორტფელის დანიშნულებას და შემადგენლობას, წარსული გამოცდილება იმასთან დაკავშირებით, ფულადი ნაკადები როგორ მიიღებოდა შესაბამისი აქტივებიდან, როგორ ხდება რისკების შეფასება და მართვა, როგორ ხდება აქტივების შედეგების შეფასება და როგორ ხდება ხელმძღვანელების ანაზღაურება.

ამორტიზებული ღირებულება („AC“) არის თანხა, რომელიც მოიცავს ფინანსური ინსტრუმენტის საწყისი აღიარების თანხას, გამოკლებული ძირითადი თანხის გადახდა, დამატებული დაგროვილი პროცენტი, და ფინანსური აქტივების შემთხვევაში, შემცირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალით (“ECL”). დაგროვილი პროცენტი მოიცავს საწყისი აღიარებისას გადავადებული გარიგების დანახარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერ პრემიას ან დისკონტის ვადის დაფარვამდე, ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. დაგროვილი საპროცენტო შემოსავალი და დაგროვილი საპროცენტო ხარჯი, მათ შორის როგორც დაგროვილი კუპონი და ამორტიზებული დისკონტი ან პრემია (წარმოშობისას გადავადებული საზღაურის ჩათვლით, თუ ასეთი არსებობს) ცალკე არ აისახება და შედის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი, ისე რომ, მიღწეული იქნეს მუდმივი პროცენტი (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი) საბალანსო ღირებულებაზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება სავარაუდო მომავლი ფულადი გადახდები ან შემოსავლები (მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გარეშე) ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე, ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი მომსახურების ვადაზე ან საჭიროების შემთხვევაში, უფრო ხანმოკლე პერიოდზე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

„ფინანსური ინსტრუმენტები რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით“ (FVTPL) თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით. ყველა სხვა ფინანსური ინსტრუმენტი თავდაპირველად აღირიცხება რეალური ღირებულებით, რომელიც კორექტირდება გარიგების დანახარჯებით. საწყისი აღიარებისას რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. საწყისი აღიარებაზე შემოსულობა ან ზარალი მხოლოდ მაშინ აისახება, როდესაც რეალური ღირებულება და გარიგების ფასი განსხვავებულია, რომლის მტკიცებულებასაც შეიძლება წარმოადგენდეს იმავე ინსტრუმენტის სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო ოპერაციები, ან შეფასების ხერხი, რომელიც გულისხმობს მხოლოდ დაკვირვებადი საბაზრო მონაცემების გამოყენებას. თავდაპირველი აღიარების შემდეგ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი აღიარდება ფინანსური აქტივებისთვის, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით (AC) და სავალო ინსტრუმენტებში ინვესტიციებისთვის, რომლებიც „შეფასებული რეალური ღირებულებით, სხვა სრულ შემოსავალში ასახვით“ (FVOCI), რაც გამოიწვევს მყისველ საბუღალტრო ზარალს.

ფინანსური აქტივების, რომელთა მიწოდება მოითხოვება რეგულაციებით ან ბაზრის წესებით („ჩვეულებრივი“ შესყიდვები და გაყიდვები) გარკვეულ ვადაში, შეძენა და გაყიდვა აისახება ვაჭრობის თარიღით: ეს ის თარიღია, როდესაც ჯგუფმა აიღო ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულება. ყველა სხვა შეძენა აღიარდება მაშინ, როდესაც საწარმო გახდება მოცემული ინსტრუმენტის სახელშეკრულებო დებულებების მონაწილე მხარე.

კომპანიის ხელმძღვანელობამ შეაფასა, თუ რომელი ბიზნესი მოდელი შეესაბამება კომპანიის ფინანსურ აქტივებს და ყველა აქტივი დააკლასიფიცირა შემდეგ კატეგორიებად „ამორტიზირებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები“ (დებიტორული დავალიანება, გაცემული სესხები, ფულს და ფულის ეკვივალენტები, კლიენტების ფული და ფულის ეკვივალენტები) და „სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივი, ცვლილებების მოგებაში ან ზარალში ასახვით“ (ინვესტიციები წილობრივ ინსტრუმენტებში).

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

ფინანსური აქტივები – რეკლასიფიკაცია

ფინანსური აქტივები მხოლოდ მაშინ რეკლასიფიცირდება, როდესაც პორტფელის მართვის ბიზნეს-მოდელი მთლიანად იცვლება. რეკლასიფიკაციას პერსპექტიული გავლენა აქვს და ტარდება ბიზნეს-მოდელის შეცვლიდან პირველი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისიდან. საწარმოს არ შეუცვლია თავისი ბიზნეს-მოდელი მიმდინარე და შესადარის პერიოდებში და არ განუხორციელებია რეკლასიფიკაცია.

ფინანსური აქტივების გაუფასურება – საკრედიტო ზარალის ანარიცხი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის (ECL)

კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღით აფასებს ფინანსური და სახელშეკრულებო აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალს და აღიარებს წმინდა გაუფასურების ზარალს. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში აისახება: (i) მიუკერძოებელი და ალბათობით შეწონილი თანხა, რომელიც განისაზღვრება შესაძლო შედეგების სპექტრის შეფასებით, (ii) ფულის დროითი ღირებულება და (iii) ყველა მიზანშეწონილი და დასაბუთებადი ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომია მეტისმეტი დანახარჯებისა და ძალისხმევების გაწევის გარეშე თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს წარსული მოვლენების, არსებული მდგომარეობისა და სამომავლო ვითარების პროგნოზის შესახებ.

დებიტორული დავალიანება, გაცემული სესხები ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარდგენილია მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხის გათვალისწინებით.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას დებიტორული დავალიანების გაუფასურებისთვის. გაცემული სესხებისთვის კომპანია გაუფასურების სამეტაპიან მოდელს იყენებს, თავდაპირველი აღიარების შემდეგ საკრედიტო ხარისხის ცვლილების საფუძველზე. ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც გაუფასურებული არ არის თავდაპირველი აღიარებისას, კლასიფიცირდება 1-ელ ეტაპზე. 1-ლი ეტაპის ფინანსური აქტივების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება თანხით, რომელიც უტოლდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის იმ ნაწილს, რომელიც წარმოიქმნება მომდევნო 12 თვეში ან სახელშეკრულებო ვადის განმავლობაში, რომელიც უფრო ხანმოკლეა, დეფოლტის შემთხვევაში („12 თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ კომპანია გამოავლენს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას თავდაპირველი აღიარების შემდეგ, მაშინ აქტივი გადადის მე-2 ეტაპზე და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე, ანუ სახელშეკრულებო ვადის ამოწურვამდე, მაგრამ მოსალოდნელი ავანსის გადახდების გათვალისწინებით, თუ ასეთი არსებობს (სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“). თუ კომპანია განსაზღვრავს, რომ ფინანსური აქტივი გაუფასურებულია, მაშინ ეს აქტივი მე-3 ეტაპზე გადადის და მისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი შეფასდება, როგორც სასარგებლო მომსახურების ვადაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი.

ფინანსური აქტივები – ჩამოწერა

ფინანსური აქტივები მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამოიწერება, როდესაც კომპანია ამოწურავს თანხის ამოღების ყველა პრაქტიკულ შესაძლებლობას და დასკვნის, რომ აღარ არსებობს თანხის ამოღების გონივრული მოლოდინი. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტას. კომპანიამ შეიძლება ჩამოწეროს ფინანსური აქტივები, რომელთა მიმართ აღსრულების ღონისძიებები ჯერ კიდევ ხორციელდება, როდესაც კომპანია ცდილობს იმ თანხების ამოღებას, რომელთა გადახდის სახელშეკრულებო ვადა დადგა, თუმცა, არ არსებობს ამოღების გონივრული მოლოდინი.

ფინანსური აქტივები - აღიარების შეწყვეტა

კომპანია ფინანსური აქტივების აღიარებას წყვეტს, როდესაც (ა) მოხდა აქტივების გამოსყიდვა ან მათთან დაკავშირებულ ფულად ნაკადებზე უფლების ვადის გასვლა ან (ბ) კომპანიამ სხვას გადასცა ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება ან დადო გარიგება, რომლითაც (i) აგრეთვე გადასცა აქტივების საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად მთელი რისკი და უკუგება ან (ii) საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და უკუგება არც გადაცემულია და არც შენარჩუნებულია, მაგრამ კონტროლი არ არის შენარჩუნებული.

კონტროლი შენარჩუნებულია, როდესაც მხარეს არ გააჩნია აქტივის მთლიანობაში არადაკავშირებულ მესამე მხარეზე მიყიდვის პრაქტიკული შესაძლებლობა გაყიდვაზე დამატებითი შეზღუდვების დაწესების გარეშე.

ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური ვალდებულებები, ფასდება ამორტიზირებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, როდესაც ისინი გამიზნულია ვაჭრობისთვის, ან არის წარმოებული ინსტრუმენტები, ან სამართლიანი ღირებულებითაა კლასიფიცირებული.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

ფინანსური ვალდებულებები – შეფასების კატეგორიები

ფინანსური ვალდებულებები კლასიფიცირებულია, როგორც „შემდგომი ამორტიზებული ღირებულებით“ (“AC”), გარდა (i) “რეალური ღირებულებით, მოგება-ზარალში ასახვით შეფასებული ფინანსური ვალდებულებებისა” (“FVTPL”): ეს კლასიფიკაცია მოიცავს წარმოებულებს, სავაჭროდ ფლობილ ფინანსურ ვალდებულებებს (მაგ., ფასიანი ქაღალდების მოკლე პოზიცია), პირობით ანაზღაურებას, რომელიც შემქმნის მიერ არის აღიარებული საწარმოთა გაერთიანებისას და სხვა ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებსაც ეს კატეგორია აქვთ მინიჭებული თავდაპირველი აღიარებისას და (ii) ფინანსური საგარანტიოს ხელშეკრულებებისა და სასესხო ვალდებულებებისა.

ფინანსური ვალდებულებები – აღიარების შეწყვეტა

ფინანსური ვალდებულებების აღიარება შეწყდება, როდესაც ისინი დაიფარება (ანუ როდესაც ხელშეკრულებაში მითითებული ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ვადა ამოწურება).

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთგადაფარვა

ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ინდივიდუალურ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზებისა და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება: (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: (i) ჩვეულებრივი ბიზნესსაქმიანობისას, (ii) დეფოლტი და (iii) გადახდისუნარიანობა ან გაკოტრება.

ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები შედგება ნაღდი ფულისგან სალაროში და ბანკებში განთავსებულ მიმდინარე ანგარიშებზე არსებული ფულისგან, რომლებიც ექვემდებარება ფასის შეცვლის მცირედ რისკს. ფული და ფულის ეკვივალენტები აღრიცხულია ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით. კომპანია ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტების გაუფასურებას ახდენს ფასს-9 ის შესაბამისად.

ნომინალურ მფლობელობაში არსებული კლიენტების ფულადი სახსრები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები

ნომინალურ მფლობელობაში არსებული კლიენტების ფულადი სახსრები და სხვა ფინანსური ინსტრუმენტები აღრიცხება გარე საბალანსო ანგარიშზე.

დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

გაცემული სესხები

ბიზნეს-მოდელის და ფულადი ნაკადების მახასიათებლების საფუძველზე, კომპანია ახდენს გაცემული სესხების კლასიფიკაციას შეფასების ერთ-ერთი შემდეგი კატეგორიით: (i) ამორტიზირებული ღირებულება: სესხები ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების და იმ ფულადი ნაკადების ამოსაღებად, რომლებიც წარმოადგენს SPPI-ს, და (ii) FVTPL: სესხები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI ტესტს ან ამორტიზირებული ღირებულების ან FVOCI-ის სხვა კრიტერიუმებს, შეფასებულია სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL).

გაუფასურების რეზერვები განისაზღვრება პროგნოზირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის (ECL) მოდელების საფუძველზე.

ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში

ფინანსური აქტივები, რომლებიც აკმაყოფილებს წილის განსაზღვრებას ემიტენტის პოზიციიდან, ე.ი. ინსტრუმენტი, რომელიც არ მოიცავს სახელშეკრულებო ვალდებულებას ფულის გადახდის შესახებ და რომელიც ადასტურებს ნარჩენ წილს ემიტენტის წმინდა აქტივებში, ითვლება ინვესტიციებად წილობრივ ფასიან ქაღალდებში კომპანიის მიერ. ინვესტიციები ფასიან ქაღალდებში ფასდება სამართლიანი ღირებულებით მოგება-ზარალში (FVTPL), გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც კომპანია თავდაპირველი აღიარებისას გადაწყვეტს გამოუხმობად განსაზღვროს წილობრივი ინვესტიციები, როგორც სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), როდესაც აღნიშნული ინვესტიციები ფლობილია სტრატეგიული მიზნებისთვის და არა მხოლოდ საინვესტიციო შემოსავლების მისაღებად. FVOCI გადაწყვეტილების გამოყენების შემდეგ, სამართლიანი ღირებულების მოგება და ზარალი აღიარებულია სხვა სრულ შემოსავალში (OCI) და შემდეგ არ რეკლასიფიცირდება მოგება-ზარალში, მათ შორის გასხვისებისას. გაუფასურების ზარალი და მათი აღდგენა/რევერსირება, ასეთის არსებობის შემთხვევაში, არ იზომება ცალკე სხვა ცვლილებებისგან სამართლიანი ღირებულებაში. დივიდენდები აღიარებული იქნება მოგება-ზარალში, როდესაც განისაზღვრება კომპანიის მიერ გადახდების მიღების უფლება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ისინი წარმოადგენენ ინვესტიციის ანაზღაურებას და არა შემოსავალს ასეთ ინვესტიციაზე.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

დასაკუთრებული აქტივები

დასაკუთრებული აქტივები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა გასაყიდ ღირებულებას შორის უმცირესით. კომპანიის დასაკუთრებული აქტივების უმეტესობა შედგება უძრავი ქონების აქტივებისგან, რომლებიც დასაკუთრებული იქნა დეფოლტის სიტუაციაში მყოფი სესხის ამოღების დროს. ასეთი აქტივები არის სპეციფიკური ხასიათის და, როგორც წესი, არ არის ურთიერთშენაცვლებადი, შესაბამისად, კომპანია მათი ინდივიდუალური თვითღირებულების კონკრეტულ იდენტიფიკაციას ახდენს. ზემოაღნიშნული აქტივების რეალიზაციით განპირობებული შემოსულობა/ზარალი აისახება სხვა წმინდა შემოსულობაში/(ზარალში) კომპანიის ინდივიდუალურ მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს თავის მოვალეობებს, ხელშეკრულების ფარგლებში, იგი თავდაპირველად საწყისი ღირებულებით აღიარდება, შემდეგ კი ამორტიზებული ღირებულებით აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო ვალდებულების თავდაპირველი შეფასება ხდება გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- ფიქსირებულ გადახდებს (მათ შორის, არსებითად ფიქსირებულ), მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით,
- ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით,
- თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით,
- შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას, და
- იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის გადახდები დისკონტირდება იჯარით ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საიჯარო გადახდები განაწილებულია ძირ თანხასა და ფინანსურ ხარჯებს შორის. ფინანსური ხარჯები დაირიცხება მოგება ან ზარალში იჯარის პერიოდის განმავლობაში იმისათვის, რომ ხდებოდეს მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების ნარჩენ ნაშთზე თითოეული პერიოდისთვის.

ის გადახდები, რომლებიც ასოცირდება მოკლევადიან იჯარასთან და დაბალ-ღირებულებიანი აქტივების იჯარასთან აღიარდება წრფივი მეთოდის საფუძველზე დანახარჯად მოგება-ზარალში. მოკლევადიანი იჯარები წარმოადგენს იჯარებს, რომელთა ვადაც 12 თვე ან ნაკლებია.

აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციები

კომპანიის თანამშრომლები (უმალესი რგოლის აღმასრულებელი პირების ჩათვლით) იღებენ აქციებზე დაფუძნებულ ანაზღაურებას, რომლის მიხედვითაც ისინი სწევენ მომსახურებას და, გაწეული მომსახურების სანაცვლოდ, ანაზღაურების სახით იღებენ საჯარო სააქციო საზოგადოება Lion Finance Group-ის წილობრივ ინსტრუმენტებს („ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით“). ოპერაციები წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით თანამშრომლებთან წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით გარიგებების ხარჯი ფასდება გადაცემის თარიღისთვის მათი სამართლიანი ღირებულების საფუძველზე. ფულადი სახით გამოხატული აქციების გადაცემა ფასდება მათი ფულადი ღირებულების მიხედვით (გადაცემის დროისთვის), რომელიც, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება ფულის დროითი ღირებულების შესაბამისად. წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, დამატებით შეტანილი კაპიტალის ფარგლებში საკუთარი კაპიტალის შესაბამის ზრდასთან ერთად, ხდება იმ პერიოდთან, როდესაც მოხდა მისი დამტკიცება, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება (შემდგომში „უფლების გადაცემის თარიღი“).

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

ინდივიდუალური მოგება-ზარალის ანგარიშგების ხარჯი ან დანარიცხი მოცემული პერიოდისთვის წარმოადგენს ამ პერიოდის დასაწყისში და დასასრულს აღიარებული კუმულაციური ხარჯების ცვლილების დინამიკას. დამატებითი ხარჯის აღიარება მოხდება ნებისმიერი ისეთი მოდიფიკაციის შემთხვევაში, რომელიც ცვლილების დღეს ჩატარებული შეფასებით აქციებზე დაფუძნებული გადახდის სისტემის მთლიან სამართლიან ღირებულებას ზრდის ან სხვაგვარად არის სარგებლის მომტანი თანამშრომლისთვის. თუ წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული ახალი გადახდა განისაზღვრება, როგორც წილობრივი ინსტრუმენტებით განსაზღვრული გაუქმებული გადახდის ჩანაცვლება, წილობრივი ინსტრუმენტების ჩანაცვლება აღირიცხება მოდიფიკაციის სახით. თუ კომპანია აუქმებს აქციების გადაცემას წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით, ეს აღირიცხება ისე, თითქოს უფლების გადაცემა მოხდა გაუქმების დღეს და მასთან დაკავშირებული ყოველგვარი ხარჯი, რომელიც ჯერ არ არის აღიარებული, დაუყოვნებლივ აღიარდება. თუმცა თუ ახალი აქციების გადაცემა ჩანაცვლებს გაუქმებულს და გადაცემის დღეს აღირიცხება, როგორც ჩანაცვლებული გადაცემა, გაუქმებული და ახალი გადაცემა აისახება ისე, თითქოს ისინი წარმოადგენდნენ თავდაპირველი გადაცემის მოდიფიკაციას, წინა აზრად აღწერილის შესაბამისად.

სააქციო კაპიტალი

ჩვეულებრივი აქციები კლასიფიცირდება, როგორც საკუთარი კაპიტალი. ახალი აქციების გამოშვებასთან პირდაპირ დაკავშირებული დამატებითი დანახარჯები საკუთარ კაპიტალში აისახება შემოსავლებიდან გამოქვითვის სახით, გადასახადების გარეშე. მიღებული კომპენსაციის რეალური ღირებულების ნამეტი გამოშვებული აქციის ნომინალურ ღირებულებაზე საკუთარ კაპიტალში აღირიცხება, როგორც სამისიო კაპიტალი.

დივიდენდები

დივიდენდები კაპიტალში აისახება იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება. საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და ფინანსური ანგარიშგების გამოცემის დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდები აისახება შემდგომი მოვლენების შესახებ განმარტებით შენიშვნებში.

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები

ანარიცხები და პირობითი ვალდებულებები არის გაურკვეველი ვადის და ოდენობის არაფინანსური ვალდებულებები. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია მიმდინარე იურიდიული ან კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად და მოსალოდნელია, რომ ამ ვალდებულებების დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკური სარგებლის შემცველი რესურსების გადინება, და შესაძლებელია ამ მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება. ანარიცხების შეფასება ხდება საჭირო მოსალოდნელი დანახარჯების დისკონტირებული ღირებულებით, დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რაც ასახავს ფულის დროითი ღირებულების საბაზრო შეფასებებს და ამ მოვალეობისათვის სპეციფიკურ რისკებს. დროის გასვლის გამო ანარიცხების ზრდა აღიარდება საპროცენტო ხარჯის სახით.

გადასახადები და ხარჯები, როგორცაა მაგალითად მოგების გადასახადის გარდა სხვა გადასახადები ან მარეგულირებლის საზღაური, დაფუძნებული იმ პერიოდთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე, რომელიც წინ უსწრებს გადახდის მოვალეობის წარმოქმნას, ვალდებულებების სახით აღიარდება მაშინ, როდესაც მოხდება მავალდებულებელი მოვლენა, რომელიც გადასახადის გადახდის ვალდებულებას წარმოქმნის, რაც განისაზღვრება კანონმდებლობით, რომელიც განაპირობებს მოცემული გადასახადის გადახდის ვალდებულებას. თუ გადასახადი მავალდებულებელი მოვლენის მოხდენამდე გადაიხდება, იგი აღიარდება გადახდილი ავანსის სახით.

მიმდინარე და გრძელვადიანი მუხლები

კომპანიამ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში ინდივიდუალურად ასახა აქტივები და ვალდებულებები მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე. კომპანიამ აქტივი განიხილა როგორც მოკლევადიანი თუ იგი: აქტივს ძირითადად ფლობს სავაჭრო დანიშნულებით; აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს, ან მიზნად ისახავს მის გაყიდვას ან მოხმარებას ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; აქტივის ღირებულების რეალიზებას ვარაუდობს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში; ან აქტივი არის ფულადი სახსრები ან ფულადი სახსრების ეკვივალენტი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მისი გაცვლა ან ვალდებულების დასაფარად გამოყენება შეზღუდულია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე თორმეტი თვით მაინც. სხვა დანარჩენი აქტივები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი აქტივები.

ვალდებულება მოკლევადიან ვალდებულებად მიიჩნევა თუ: მისი დაფარვა მოსალოდნელია ჩვეულებრივი საოპერაციო ციკლის განმავლობაში; ძირითადად, გამოიყენება სავაჭრო დანიშნულებით; უნდა დაიფაროს საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ 12 თვის განმავლობაში; ან საწარმოს არ გააჩნია ვალდებულების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. სხვა დანარჩენი ვალდებულებები კლასიფიცირებულია როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

რეალური ღირებულების დადგენა

რეალური ღირებულება წარმოადგენს ფასს, რომელიც მიიღებოდა აქტივის გაყიდვისას ან გადაიხდებოდა ვალდებულების გადასაცემად ბაზრის მონაწილეებს შორის შეფასების თარიღით გარიგებისას. რეალური ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა აქტიური ბაზარი. აქტიურია ბაზარი, სადაც აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებული ოპერაციები საკმარისად ხშირად და ინტენსიურად ხორციელდება იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს მიმდინარე ინფორმაცია ფასის შესახებ.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება, რომლებიც ვაჭრობენ აქტიურ ბაზარზე, განისაზღვრება ინდივიდუალური აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასის გავრცელებით საწარმოს ხელთ არსებული ფინანსური ინსტრუმენტების რაოდენობაზე. ეს ასეა მაშინაც კი, როდესაც ბაზრის ჩვეულებრივი დღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ფლობილი რაოდენობის ასათვისებლად და ერთი გარიგებით პოზიციის გაყიდვის დაკვეთამ შეიძლება გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულების შეფასებისათვის, რომელთა საბაზრო ფასის შესახებ ინფორმაცია არ არის, გამოიყენება შეფასების ისეთი ხერხები, როგორცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან მოდელი რომლებიც ეფუძნება ე.წ. „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციებს ან ინვესტიციის მიმდების ფინანსური მონაცემებს. რეალური ღირებულების შეფასების გაანალიზება ხდება რეალური ღირებულების შემდეგი იერარქიის გამოყენებით: (i) პირველი დონე გახლავთ იდენტური აქტივების ან ვალდებულებების აქტიურ ბაზარზე კოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით შეფასება, (ii) მეორე დონის შეფასება გახლავთ შეფასების ხერხების გამოყენებით შეფასება, როდესაც აქტივის ან ვალდებულების ყველა არსებითი მონაცემები დაკვირვებადია ან პირდაპირ (მაგ. ფასები) ან ირიბად (მაგ. წარმოებულია ფასებიდან), და (iii) მესამე დონის შეფასებები გახლავთ შეფასებები, რომლებიც არ ეფუძნება მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს (ანუ შეფასებისათვის საჭიროა მნიშვნელოვანი არა-დაკვირვებადი ინფორმაცია). რეალური ღირებულების დონეების იერარქიაში ცვლილებები ხორციელდება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია აკეთებს შეფასებებსა და დაშვებებს, რომლებიც გავლენას ახდენს ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებსა და მომდევნო ფინანსური წლისათვის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე. შეფასებების და განსჯის მუდმივი შეფასება ხორციელდება და ეფუძნება ხელმძღვანელობის გამოცდილებას და სხვა ფაქტორებს, მათ შორის სამომავლო მოვლენების მოლოდინს, რაც მიჩნეულია, რომ გონივრული იქნება არსებულ გარემოებებში. ხელმძღვანელობა იყენებს აგრეთვე განსჯას, შეფასებებთან ერთად, სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას. განსჯა, რომელსაც შეუძლია ყველაზე დიდი გავლენის მოხდენა ინდივიდუალური ფინანსურ ანგარიშგებებში ასახულ თანხებზე და მომდევნო ფინანსური წლის აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებზე, მოიცავს შემდეგს:

რეალური ღირებულების განსაზღვრა და შეფასების პროცესი

ფასიან ქაღალდებში განხორციელებული ინვესტიციები შეფასებულია რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულების განსაზღვრაში გამოყენებული მონაცემები წარმოადგენს არადაკვირვებად მონაცემებს და შეფასება განხორციელდა რეალური ღირებულების განსაზღვრის იერარქიაში მე-3 დონის ინფორმაციის საფუძველზე. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

5. წმინდა საკომისიო შემოსავალი საბროკერო ოპერაციებიდან

წმინდა საკომისიო შემოსავალი საბროკერო ოპერაციებიდან 2025 და 2024 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2025	2024
შემოსავლები სავაჭრო პლატფორმებიდან	16,197,977	9,673,730
საკომისიო შემოსავალი საბროკერო საქმიანობიდან	4,925,061	3,284,500
ფასიანი ქაღალდების შენახვის საკომისიო	2,184,068	1,276,928
სხვა საკომისიო შემოსავალი	356,669	433,722
სულ საკომისიო შემოსავალი საბროკერო ოპერაციებიდან	23,663,775	14,668,880
საკომისიო ხარჯი	(11,088,844)	(5,129,831)
წმინდა საკომისიო შემოსავალი საბროკერო ოპერაციებიდან	12,574,931	9,539,049

6. წმინდა შემოსავალი საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან

წმინდა შემოსავალი საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან 2025 და 2024 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2025	2024
საკომისიო ბონდების განთავსებიდან	6,348,390	5,047,295
შემოსავალი საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან	1,584,512	4,531,520
სულ შემოსავალი საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან	7,932,902	9,578,815
საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(563,622)	(461,938)
სულ შემოსავალი საინვესტიციო საბანკო მომსახურებიდან და კვლევებიდან	7,369,280	9,116,877

7. ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული ხარჯები 2025 და 2024 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2025	2024
თანამშრომელთა ხელფასის დანახარჯები	6,723,921	5,327,276
თანამშრომელთა წლიური ბონუსის ხარჯი	5,166,052	5,805,856
ცვეთა და ამორტიზაცია	815,748	698,432
საკონსულტაციო და სხვა პროფესიული მომსახურება	344,274	331,493
წარმომადგენლობითი ხარჯები	243,852	274,323
რეკლამის და მარკეტინგის ხარჯი	74,593	174,394
უიმედო ვალების ჩამოწერის ხარჯი	-	60,680
გადასახადები	-	24,426
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	491,254	549,413
სულ ადმინისტრაციული ხარჯები	13,859,694	13,246,293

8. სხვა ხარჯები, წმინდა

სხვა ხარჯები, წმინდა 2025 და 2024 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2025	2024
შვილობილში ინვესტიციის გაუფასურების ხარჯი	74,508	141,060
სხვა ხარჯები	-	762
სულ სხვა ხარჯი	74,508	141,822

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართული ლარი)

9. წმინდა საპროცენტო შემოსავალი

წმინდა საპროცენტო შემოსავალი 2025 და 2024 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2025	2024
საპროცენტო შემოსავალი მიმდინარე ანგარიშიდან	2,590,613	1,495,491
საპროცენტო შემოსავალი გაცემული სესხიდან	181,414	305,700
საპროცენტო შემოსავალი ობლიგაციებიდან	195,432	140,435
საპროცენტო შემოსავალი დეპოზიტებიდან	161,096	-
საპროცენტო შემოსავალი სხვა	3,470	-
საპროცენტო ხარჯი გრძელვადიან იჯარაზე	(15,860)	(16,528)
სულ წმინდა საპროცენტო შემოსავალი	3,116,165	1,925,098

10. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა

სხვა არასაოპერაციო ხარჯი, წმინდა 2025 და 2024 წლებისთვის წარმოდგენილია შემდეგი სახით:

	2025	2024
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	126,000	69,117
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	349,529	87,017
წმინდა შემოსავალი/(ზარალი) საკურსო სხვაობიდან	(98,593)	141,440
სულ სხვა არასაოპერაციო შემოსავალი/(ხარჯი), წმინდა	376,936	297,574

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართული ლარი)

11. ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება

ძირითადი საშუალებები, აქტივის გამოყენების უფლება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	კომპიუტერული ტექნიკა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	აქტივის გამოყენების უფლება	სულ
31 დეკემბერი 2023	557,167	279,492	75,012	14,974	1,874,040	2,800,685
შეძენა	98,721	13,083	-	99,596	-	211,400
ჩამოწერა	(162,513)	(11,202)	-	-	-	(173,715)
შიდა მოძრაობა	8,386	(8,396)	-	-	-	(10)
31 დეკემბერი 2024	501,761	272,977	75,012	114,570	1,874,040	2,838,360
შეძენა	232,253	58,813	-	36,509	-	327,575
ჩამოწერა	(111,341)	(182,710)	-	-	-	(294,051)
იჯარის მოდიფიკაცია	-	-	-	-	1,190,595	1,190,595
31 დეკემბერი 2025	622,673	149,080	75,012	151,079	3,064,635	4,062,479
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2023	326,013	229,800	928	2,529	946,773	1,506,043
ცვეთის ხარჯი	77,740	16,896	15,290	5,188	373,380	488,494
ჩამოწერა	(151,626)	(11,211)	-	-	-	(162,837)
შიდა მოძრაობა	11,438	(11,438)	-	-	-	-
31 დეკემბერი 2024	263,565	224,047	16,218	7,717	1,320,153	1,831,700
ცვეთის ხარჯი	95,433	22,100	15,002	24,792	376,224	533,551
ჩამოწერა	(109,314)	(182,074)	-	-	-	(291,388)
იჯარის მოდიფიკაცია	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2025	249,684	64,073	31,220	32,509	1,696,377	2,073,863
წმინდა საბალანსო ღირებულება						
31 დეკემბერი 2023	231,154	49,692	74,084	12,445	927,267	1,294,642
31 დეკემბერი 2024	238,196	48,930	58,794	106,853	553,887	1,006,661
31 დეკემბერი 2025	372,989	85,007	43,792	118,570	1,368,258	1,988,616

2025 და 2024 წლების 31 დეკემბერის მდგომარეობით კომპანიის ძირითადი საშუალებები არ იყო დატვირთული იპოთეკით ვალდებულებების უზრუნველსაყოფად.

კომპანიას სს "საქართველოს ბანკისგან" იჯარით აღებული აქვს საოფისე ფართი, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისი, პუშკინის ქ.3.

12. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება 2025 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
I იანვარი	1,768,117	1,699,000
შემოსულობები/(ზარალი) საინვესტიციო ქონების გადაფასებიდან	126,000	69,117
31 იანვარი	1,894,117	1,768,117

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს საოფისე ფართს, როლის მისამართია: ჭავჭავაძის გამზ. №7, თბილისი, საქართველო. საინვესტიციო ქონება აღირიცხება რეალური ღირებულებით. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მენეჯმენტმა ჩაატარა შიდა ანალიზი და დაასკვნა, რომ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების რეალურ ღირებულებაში არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების რეალური ღირებულება განისაზღვრა გარე საშემფასებლო კომპანიის შპს „ქართული საშემფასებლო კომპანიის“ მიერ, რომელსაც აქვს მსგავსი საინვესტიციო ქონებების შეფასების და უძრავი ქონების ბაზრის შეფასების გამოცდილება.

სს „გალტ ენდ თაგარტი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

13. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2025 წლის 31 დეკემბერის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემდეგია:

ისტორიული ღირებულება	ლიცენზიები და პატენტები	პროგრამული უზრუნველყოფა	არამატერიალური აქტივი დეველოპმენტის პროცესში	სულ
31 დეკემბერი 2023	286,821	1,041,104	-	1,327,925
შეძენა	6,487	77,233	105,592	189,312
31 დეკემბერი 2024	293,308	1,118,337	105,592	1,517,237
შეძენა	11,108	125,568	-	136,676
ჩამოწერა	(17,502)	-	-	(17,502)
31 დეკემბერი 2025	286,914	1,243,905	105,592	1,636,411
ამორტიზაცია				
31 დეკემბერი 2023	252,518	536,413	-	788,931
ამორტიზაცია	26,639	174,991	-	201,630
31 დეკემბერი 2024	279,157	711,404	-	990,561
ამორტიზაცია	4,487	277,704	-	282,191
ჩამოწერა	(14,672)	-	-	(14,672)
31 დეკემბერი 2025	268,972	989,108	-	1,258,080
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2023	34,303	504,691	-	538,994
31 დეკემბერი 2024	14,151	406,934	105,592	526,676
31 დეკემბერი 2025	17,942	254,797	105,592	378,331

14. ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში

ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმიტედ (კვიპროსი)	458,940	600,000
სულ ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში	459,940	600,000
ცვლილება წმინდა აქტივებში	(74,508)	(141,060)
ნაშთი 31 დეკემბრის მდგომარეობით	384,432	458,940

შპს „გალტ ენდ თაგარტ ჰოლდინგ ლიმიტედი“ საიდენტიფიკაციო ნომრით 179498 დარეგისტრირდა 2006 წლის 3 ივლისს კვიპროსზე. კომპანიის იურიდიული მისამართია - მაკარიუს III 58, IRIS TOWER, მე-7 სართული, ოფისი 702, P.C. 1075, ნიქოზია, კვიპროსი. შვილობილი კომპანია ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღირიცხება კაპიტალ მეთოდით.

სს "გალტ ენდ თაგარტი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

15. ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში და სხვა ინვესტიციები

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025				31 დეკემბერი 2024			
	საქართველოს საფონდო ბირჟა[15.33%]	თბილისის საფონდო ბირჟა[24%] 	სხვა	სულ	სს "საქართველო ს საფონდო ბირჟა" [15.33%]	სს "თბილისის ს საფონდო ბირჟა" [24%]	სხვა	სულ
1 იანვარი	110,250	500,172	9,600	620,022	110,250	500,172	9,600	620,022
მოგების/(ზარალის) წილი მეკავშირე საწარმოში	(33,700)	45,353	-	11,653	-	-	-	-
31 დეკემბერი	76,550	545,525	9,600	631,675	110,250	500,172	9,600	620,022

მეკავშირე საწარმოების ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ფასიანი ქაღალდებისა და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ყიდვა-გაყიდვის შესახებ წინადადებების შეგროვება, საჯარო ვაჭრობის ორგანიზება, დადგენილი წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია ინვესტიციებს მეკავშირე საწარმოებში აღრიცხავს კაპიტალ მეთოდით.

მეკავშირე საწარმოების ფინანსური ინფორმაცია 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
აქტივები	507,198	2,321,243
ვალდებულებები	7,847	15,562
წმინდა აქტივები	499,351	2,305,681
შემოსავალი	498,005	517,324
ხარჯები	(541,367)	(361,869)
მოგება/(ზარალი)	(43,362)	155,455

მეკავშირე საწარმოების ფინანსური ინფორმაცია 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	სს "საქართველოს საფონდო ბირჟა"	სს "თბილისის საფონდო ბირჟა"
აქტივები	575,289	2,221,922
ვალდებულებები	49,105	98,956
წმინდა აქტივები	526,184	2,122,966
შემოსავალი	516,813	382,736
ხარჯები	(376,397)	(398,979)
მოგება/(ზარალი)	140,416	(16,243)

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

16. დასაკუთრებული აქტივები

გაცემული სესხები შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
1 იანვარი	-	-
შემოსვლა	1,537,411	-
გაუფასურება	(64,659)	-
31 დეკემბერი	1,472,752	-

კომპანიის დასაკუთრებული აქტივების უმეტესობა შედგება უძრავი ქონების აქტივებისგან, რომლებიც დასაკუთრებული იქნა დეფოლტის სიტუაციაში მყოფი სესხის ამოღების დროს.

17. ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში

ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ინსტრუმენტები	1,714,881	1,669,251
სხვა მიმდინარე აქტივები რეალური ღირებულებით მოგება / ზარალში	149,274	44,107
სულ ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება / ზარალში	1,864,155	1,713,358

საპროცენტო სარგებლის მქონე სავალო ინსტრუმენტების ბალანსში გათვალისწინებულია ამ ინსტრუმენტებზე დარიცხული მისაღები კუპონი.

18. წინასწარ გადახდილი თანხები

	31 დეკემბერი 2025			31 დეკემბერი 2024		
	გრძელ- ვადიანი	მოკლე- ვადიანი	სულ	გრძელ- ვადიანი	მოკლე- ვადიანი	სულ
წინასწარ გადახდილი ბონუსი	-	58,399	58,399	133,737	48,266	182,003
სხვა წინასწარ გაწეული ხარჯები	-	119,158	119,158	-	27,694	27,964
სულ წინასწარ-გადახდები	-	177,557	177,557	133,737	75,960	209,697

19. დებიტორული დავალიანება

დებიტორული დავალიანება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მოთხოვნები საბროკერო საქმიანობიდან	711,655	2,430,228
მოთხოვნები საკონსულტაციო და კვლევითი მომსახურებიდან	1,503,276	1,061,425
სხვა მოთხოვნები	2,000	2,000
შემცირებული საკრედიტო ზარალის ანარიცხით	(103,288)	(240,163)
სულ დებიტორული დავალიანება	2,113,643	3,253,490

სს "გალტ ენდ თაგარტი"

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

საკრედიტო ზარალის ანარიცხის მოძრაობა წარმოდგენილია ქვემოთ:

საკრედიტო ზარალის ანარიცხი - 31 დეკემბერი 2023	164,781
რეზერვის ამობრუნება	14,702
დარიცხვა წლის განმავლობაში	75,382
რეზერვის აღდგენა	(14,702)
საკრედიტო ზარალის ანარიცხი - 31 დეკემბერი 2024	240,163
რეზერვის ამობრუნება	(176,698)
დარიცხვა წლის განმავლობაში	38,923
რეზერვის აღდგენა	-
საკრედიტო ზარალის ანარიცხი - 31 დეკემბერი 2025	103,288

20. ვადიანი დეპოზიტები

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ვადიანი დეპოზიტები	1,661,096	-
სხვა დეპოზიტები	81,635	-
სულ მოკლევადიანი დეპოზიტები	1,742,731	-

21. ფული და ფულის ეკვივალენტები

ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებს სხვადასხვა ვალუტაში:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
აშშ დოლარი ("USD")	6,781,153	4,924,361
ქართული ლარი ("GEL")	2,043,043	892,258
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი ("GBP")	637,085	153,103
ევრო ("EUR")	39,336	400,296
შვეიცარული ფრანკი ("CHF")	3,349	2,411
სხვა ვალუტა	49,587	81,515
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	9,553,553	6,453,944

22. სააქციო კაპიტალი

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "ბიჯი ფაინანშიალი" ფლობს სს "გალტ ენდ თაგარტის" კაპიტალის 100%-ს - 1,461,987 ცალ ჩვეულებრივ აქციას (2023 დეკემბრის მდგომარეობით 1,461,987 ცალ ჩვეულებრივ აქციას).

2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სს "ბიჯი ფაინანშიალი" ფლობს სს "გალტ ენდ თაგარტის" კაპიტალის 100%-ს - 1,461,987 ცალ ჩვეულებრივ აქციას (2024 დეკემბრის მდგომარეობით 1,461,987 ცალ ჩვეულებრივ აქციას).

თითოეული ჩვეულებრივი აქცია ნომინალური ღირებულებით ერთი (1) ლარი	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
გამოსაშვებად ნებადართული კაპიტალი	20,000,000	20,000,000
შეუვსებელი სააქციო კაპიტალი	(18,538,013)	(18,538,013)
გამოშვებული და სრულად გადახდილი სააქციო კაპიტალი	1,461,987	1,461,987

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

საემისიო კაპიტალი მოიცავს კომპანიის აქციონერების მიერ აქციათა ნომინალურ ღირებულებაზე მეტი ოდენობით. კაპიტალში შეტანილ თანხებს, რომელიც 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 2,761,786 ლარს (2024: 2,761,786 ლარი).

	2025	2024
1 იანვარი	1,047,382	-
შეძენა	1,273,670	1,047,382
გადასახადის ეფექტი	297,939	-
თანამშრომლებზე გადაცემული წილობრივი ინსტრუმენტები	(1,384,153)	-
31 დეკემბერი	1,234,838	1,047,382

კომპანიის თანამშრომლები მონაწილეობენ ჯგუფის წილობრივი ანაზღაურების პროგრამაში, რომლის ფარგლებშიც საბოლოო მშობელი კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტები ენიჭებათ თანამშრომლებს კომპანიისთვის გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ჯგუფის ერთ-ერთმა კომპანიამ, სს "ბიჯეო ჯგუფმა" 2019 წელს ჩამოაყალიბა დასაქმებულთა წილობრივი ანაზღაურების სატრასტო კომპანია - Apex Fiduciary Limited, რომელიც გამოდის ნდობით აღჭურვილ პირად „დასაქმებულთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამაში“. სწორედ სს "ბიჯეო ჯგუფის" მეშვეობით ხდება ჯგუფის კომპანიების თანამშრომლების წილობრივი ინსტრუმენტებით დაჯილდოვებების უზრუნველყოფა. კომპანია აღნიშნულ გარიგებაში ჩაერთო 2024 წლიდან. კომპანია არ უშვებს საკუთარ წილობრივ ინსტრუმენტებს და არ გააჩნია კონტრაქტული ან კონსტრუქციული ვალდებულება აღნიშნული დაჯილდოვების დაფარვასთან დაკავშირებით.

ფასს 2 „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“-ის (პარაგრაფები 43ბ–43გ და ბ52–ბ54) მოთხოვნების შესაბამისად, კომპანია აღნიშნულ სქემას თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხავს, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებს წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით.

წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორების ოპერაციების ღირებულების აღიარება, დამატებით შეტანილი კაპიტალის ფარგლებში (სააქციო ბონუსების რეზერვი) ხდება იმ პერიოდიდან, როდესაც დამტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, დასრულებული იმ თარიღით, როდესაც შესაბამის თანამშრომლებს სრულად გადაეცა აქციების ფლობის უფლება.

კომპანია უფლების გადაცემის თარიღის შემდგომ აღიარებულ თანხებს აღარ გადააფასებს.

23. საიჯარო ვალდებულება

საიჯარო ვალდებულება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
მიმდინარე საიჯარო ვალდებულება	589,796	295,710
გრძელვადიანი საიჯარო ვალდებულება	721,248	171,013
სულ საიჯარო ვალდებულება	1,311,044	466,723

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
 (ქართული ლარი)

საიჯარო ვალდებულების რეკონსილაცია:

საიჯარო ვალდებულება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			821,809
დარიცხული პროცენტი			16,529
საკურსო სხვაობის ეფექტი			7,154
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა			(16,529)
საიჯარო ვალდებულების ძირის გადახდა			(362,241)
საიჯარო ვალდებულება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			466,722
საიჯარო ვალდებულების აღიარება			1,190,595
დარიცხული პროცენტი			15,854
საკურსო სხვაობის ეფექტი			(41,641)
საიჯარო ვალდებულების პროცენტის გადახდა			(15,854)
საიჯარო ვალდებულების ძირის გადახდა			(304,632)
საიჯარო ვალდებულება 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			1,311,044
	1 წელზე ნაკლები	1-5 წელი	სულ
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბერი 2025	-	1,311,044	1,311,044
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბერი 2024	295,710	171,013	466,723
საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბერი 2023	324,968	496,841	821,809

24. კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანება შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
გადასახდელი ბონუსი	3,174,170	2,665,000
ვალდებულებები კონტრაგენტებთან	510,708	384,807
სხვა ვალდებულებები	356,894	319,674
სულ კრედიტორული დავალიანება	4,041,772	3,369,481

25. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“ წარმოადგენს:

- ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით: აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან); ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია; და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;
- ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს;
- გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;
- დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

ოპერაციები და ნაშთები დაკავშირებულ მხარეებთან წარმოდგენილია ქვემოთ.

		31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ურთიერთობის ტიპი		დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები	დაკავშირებულ მხარესთან ტრანზაქციები
წმინდა საკომისიო შემოსავალი/(ხარჯი) საბროკერო საქმიანობიდან	სხვა დაკავშირებული მხარე	237,272	324,712
წმინდა საკომისიო შემოსავალი/(ხარჯი) საკონსულტაციო და კვლევით მომსახურებიდან	სხვა დაკავშირებული მხარე	1,329,113	-
ადმინისტრაციული ხარჯები	სხვა დაკავშირებული მხარე	-	(380,259)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	სხვა დაკავშირებული მხარე	1,027,126	-

		31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ურთიერთობის ტიპი		დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები	დაკავშირებულ მხარესთან ნაშთები
ფული და ფულის ეკვივალენტები	სხვა დაკავშირებული მხარე	7,698,055	3,727,379
დებიტორული დავალიანება	სხვა დაკავშირებული მხარე	250,516	111,350
კრედიტორული დავალიანება	სხვა დაკავშირებული მხარე	164,936	-

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება:

	2025	2024
უმაღლესი ხელმძღვანელობის ანაზღაურება	943,890	1,632,538

26. პირობითი აქტივები და ვალდებულებები

2025 წლის 19 აგვისტოს შემოსავლების სამსახურის აუდიტის დეპარტამენტის ბრძანებით კომპანიას ჩაუტარდა კამერალური საგადასახადო შემოწმება, რომლის ფარგლებში შემოწმდა ერთ-ერთ დამკვეთთან 2022 წელს გაფორმებული ხელშეკრულების (და მასში შეტანილი ცვლილებების) საფუძველზე მიღებული შემოსავლების შედეგად წარმოშობილი დღგ-ს საგადასახადო ვალდებულებების სისწორე 2022 წლის 1 იანვრიდან 2025 წლის 1 იანვრამდე პერიოდზე.

შემოწმების აქტის საფუძველზე კომპანიის მიმართ გამოიცა საგადასახადო მოთხოვნა. კომპანია არ ეთანხმება საგადასახადო ორგანოს პოზიციას და აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრებული აქვს სასამართლოში.

კომპანიის შეფასებით, საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ასევე შესაბამისი სასამართლო პრაქტიკისა და განმარტებების საფუძველზე, კომპანიის მიერ გაწეული მომსახურება წარმოადგენს ფინანსურ მომსახურებას, რომელიც გათავისუფლებულია დღგ-სგან ჩათვლის უფლების გარეშე. შესაბამისად, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ აღნიშნულ საქმეზე ეკონომიკური რესურსების გადინება არ არის სავარაუდო.

ფინანსური ანგარიშგების ხელმოწერის თარიღისთვის სასამართლოში საქმის პირველადი განხილვა ჯერ არ არის დანიშნული. საქმის საბოლოო შედეგი დამოკიდებულია სასამართლო გადაწყვეტილებაზე და ამ ეტაპზე მისი განსაზღვრა შეუძლებელია.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

27. ფინანსური რისკის მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობების განხორციელებისას, კომპანია ექვემდებარება შემდეგ ფინანსურ რისკებს:

საკრედიტო რისკი: ალბათობა, რომ მსესხებელი ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის.

ლიკვიდურობის რისკი: რისკი რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით.

საბაზრო რისკი: რისკი, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები რეალური ღირებულების თვალსაზრისით. ძირითადად, კომპანია ექვემდებარება საბაზრო რისკის სამ კომპონენტს:

- *საპროცენტო რისკი*
- *სავალუტო რისკი*
- *ფასიანი ქაღალდების რისკი*

კომპანიის ხელმძღვანელობა რისკების მართვას ახორციელებს კომპანიის საოპერაციო ერთეულებთან თანამშრომლობით. კომპანიის შედარებით მარტივი ოპერაციების გამო, არ არსებობს რისკების საერთო მართვის თაობაზე წინასწარ დადგენილი პოლიტიკა.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ნაშთები კატეგორიების მიხედვით:

	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფინანსური აქტივები		
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,553,553	6,453,944
მოკლევადიანი დეპოზიტები	1,742,731	-
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში	1,864,155	1,713,358
გაცემული სესხები	-	1,543,413
დებიტორული დავალიანება	2,113,643	3,253,490
სულ ფინანსური აქტივები	15,274,082	12,964,205
ფინანსური ვალდებულებები		
კრედიტორული დავალიანება	4,041,772	3,369,481
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,041,772	3,369,481

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

ქვემოთ მოცემული ცხრილი წარმოადგენს რეალური ღირებულებით აღიარებული აქტივების ანალიზს, რომლებიც დაჯგუფებულია 1-3 დონეებად იმის მიხედვით, თუ რამდენად დაკვირვებადია რეალური ღირებულება:

	2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები გამოსახული რეალური ღირებულებით			
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,553,553	-	-
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში	1,864,155	-	-
გაცემული სესხები	-	-	-
დებიტორული დავალიანება	-	-	2,113,643
საინვესტიციო ქონება	-	1,894,117	-
სულ 2025 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	11,417,708	1,894,117	2,113,643
	2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	დონე 1	დონე 2	დონე 3
აქტივები გამოსახული რეალური ღირებულებით			
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,453,944	-	-
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში	1,713,358	-	-
გაცემული სესხები	-	-	1,543,413
დებიტორული დავალიანება	-	-	3,253,490
საინვესტიციო ქონება	-	1,768,117	-
სულ 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	8,167,302	1,768,117	4,796,903

საკრედიტო რისკი

კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი მოცემულია შემდეგ ცხრილში:

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2025	31 დეკემბერი 2024
ფინანსური აქტივები			
ფული და ფულის ეკვივალენტები	21	9,553,553	6,453,944
გაცემული სესხები		-	1,543,413
დებიტორული დავალიანება	19	2,113,643	3,253,490
სულ მაქსიმალური საკრედიტო რისკი		11,667,196	11,250,847

ფულისა და ფულის ეკვივალენტების ბალანსი წარმოადგენს საბანკო ანგარიშზე არსებულ ნაშთსა და მოკლევადიან დეპოზიტებს სამ თვემდე ვადიანობით. კომპანია არ ფლობს უზრუნველყოფას მის მიერ მისაღები ნებისმიერი დებიტორული დავალიანებისთვის. ყველა დებიტორული დავალიანება, რომელიც ვადაგადაცილებულია ანგარიშგების თარიღის მომენტისთვის შესაბამისად არის გაუფასურებული.

ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში და ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში მოცემულია წილობრივი ინსტრუმენტის სახით და ამგვარად, არ ექვემდებარება საკრედიტო რისკს.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია ლიკვიდურობის რისკს მართავს მოსალოდნელ ვადიანობაზე დაყრდნობით. ქვემოთ წარმოდგენილია სახელშეკრულებო ვადიანობის ანალიზი 2024 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

31 დეკემბერი 2025	1 წლამდე	1 წელს ზემოთ	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	9,553,553	-	9,553,553
მოკლევადიანი დეპოზიტები	1,742,731	-	1,742,731
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში	1,864,155	-	1,864,155
გაცემული სესხები	-	-	-
დებიტორული დავალიანება	2,113,643	-	2,113,643
სულ ფინანსური აქტივები	15,274,082	-	15,274,082
კრედიტორული დავალიანება	4,041,772	-	4,041,772
გრძელვადიანი იჯარა (დისკონტის გარეშე)	538,838	938,752	1,477,590
სულ ფინანსური ვალდებულებები	4,580,610	938,752	5,519,362
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	10,693,472	(938,752)	9,754,720

31 დეკემბერი 2024	1 წლამდე	1 წელს ზემოთ	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	6,453,944	-	6,453,944
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში	1,713,358	-	1,713,358
გაცემული სესხები	1,543,413	-	1,543,413
დებიტორული დავალიანება	3,253,490	-	3,253,490
სულ ფინანსური აქტივები	12,964,205	-	12,964,205
კრედიტორული დავალიანება	3,369,481	-	3,369,481
გრძელვადიანი იჯარა (დისკონტის გარეშე)	356,223	172,179	528,402
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,725,704	172,179	3,897,883
ლიკვიდურობის წმინდა პოზიცია	9,238,501	(172,179)	9,066,322

საპროცენტო რისკი

კომპანიას საპროცენტო რისკის საფრთხე ემუქრება მხოლოდ იმ ფინანსურ აქტივებთან მიმართებაში, რომლებზეც მოქმედებს ფიქსირებული განაკვეთი. ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ფინანსური აქტივების რეალურ ღირებულებაზე საპროცენტო განაკვეთების ცვლილების ზეგავლენა კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ შეფასდა როგორც უმნიშვნელო.

სავალუტო რისკი

უცხოური ვალუტით დენომინირებული აქტივები (საბანკო ბალანსები, დეპოზიტები, ფასიანი ქაღალდები და დებიტორული დავალიანება) და ვალდებულებები (გადასახდებელი) იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და მათ გადადგეს გარკვეული ნაბიჯები სავალუტო რისკის შესამცირებლად. ეს ნაბიჯები ძირითადად გულისხმობს სავალუტო დეპოზიტების განხორციელებასა და ფასიანი ქაღალდების ფლობას.

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის
(ქართული ლარი)

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები 2025 წლის 31 დეკემბრის, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაანალიზებული ვალუტებს მიხედვით:

ფინანსური აქტივები 2025 წლის 31 დეკემბრისთვის	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	შვეიცარიული ფრანკი	სხვა	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,043,043	6,781,153	39,336	637,085	3,349	49,587	9,553,553
მოკლევადიანი დეპოზიტები	1,661,096	57,142	2,003	8,995	-	13,495	1,742,731
დებიტორული დავალიანება	1,709,694	247,481	-	2,246	-	154,222	2,113,643
გაცემული სესხები	-	-	-	-	-	-	-
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში	1,864,155	-	-	-	-	-	1,864,155
სულ ფინანსური აქტივები 2025 წლის 31 დეკემბრისთვის	7,277,988	7,085,776	41,339	648,326	3,349	217,304	15,274,082
სავაჭრო ვალდებულებები	3,847,720	53,873	57	80,853	-	59,269	4,041,772
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,847,720	53,873	57	80,853	-	59,269	4,041,772

ფინანსური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი	შვეიცარიული ფრანკი	სხვა	სულ
ფული და ფულის ეკვივალენტები	892,258	4,924,361	400,296	153,103	2,411	81,515	6,453,944
დებიტორული დავალიანება	480,498	970,562	1,802,431	-	-	-	3,253,491
გაცემული სესხები	-	1,543,413	-	-	-	-	1,543,413
ფინანსური აქტივები რეალური ღირებულებით მოგება/ზარალში	1,713,358	-	-	-	-	-	1,713,358
სულ ფინანსური აქტივები 2024 წლის 31 დეკემბრისთვის	3,086,114	7,438,336	2,202,727	153,103	2,411	81,515	12,964,206
სავაჭრო ვალდებულებები	3,166,055	181,307	22,119	-	2,411	-	3,369,481
სულ ფინანსური ვალდებულებები	3,166,055	181,307	22,119	-	2,411	-	3,369,481

	გავლენა მოგება-ზარალზე	
	2025	2024
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება	1,406,381	1,451,406
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება	(1,406,381)	(1,451,406)
ევროს 20%-ით გამყარება	8,256	436,122
ევროს 20%-ით გაუფასურება	(8,256)	(436,122)
შვეიცარიული ფრანკის 20%-ით გამყარება	670	482
შვეიცარიული ფრანკის 20%-ით გაუფასურება	(670)	(482)
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის 20%-ით გამყარება	113,495	30,621
დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგის 20%-ით გაუფასურება	(113,495)	(30,621)
სხვა ვალუტების 20%-ით გამყარება	31,607	16,303
სხვა ვალუტების 20%-ით გაუფასურება	(31,607)	(16,303)

სს “გალტ ენდ თაგარტი”

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2025 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

(ქართული ლარი)

28. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება შესადრისი მონაცემების რეკლასიფიკაცია

მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში მენეჯმენტმა გადახედა თანამშრომელთა წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების პროგრამის ფარგლებში განხორციელებული შენატანების აღრიცხვის მეთოდს, შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკა.

წინა პერიოდებში თანამშრომლებზე გაცემული მშობელი კომპანიის წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურება აღირიცხებოდა როგორც წინასწარი გადახდები. ახალი სააღრიცხვო პოლიტიკის მიხედვით თანამშრომელთა წილობრივი ინსტრუმენტებით ანაზღაურების პროგრამა აღირიცხება კაპიტალის სხვა რეზერვების მუხლში ქვემოთ მოცემული საკითხების გათვალისწინებით.

ჯგუფის ერთ-ერთმა კომპანიამ, სს "ბიჯეო ჯგუფმა" 2019 წელს ჩამოაყალიბა დასაქმებულთა წილობრივი ანაზღაურების სატრასტო კომპანია - Apex Fiduciary Limited, რომელიც გამოდის ნდობით აღჭურვილ პირად „დასაქმებულთა წილობრივი ანაზღაურების პროგრამაში“. სწორედ სს "ბიჯეო ჯგუფის" მეშვეობით ხდება ჯგუფის კომპანიების თანამშრომლების წილობრივი ინსტრუმენტებით დაჯილდოვებების უზრუნველყოფა. კომპანია აღნიშნულ გარიგებაში ჩაერთო 2024 წლიდან. ფასს 2 „აქციებზე დაფუძნებული გადახდა“-ის (პარაგრაფები 43ბ–43გ და ბ52–ბ54) მოთხოვნების შესაბამისად, კომპანია აღნიშნულ სქემას თავის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში აღრიცხავს, როგორც აქციებზე დაფუძნებული გადახდის ოპერაციებს წილობრივი ინსტრუმენტებით ანგარიშსწორებით.

შესაბამისად, 2024 წელში წინასწარ გადახდილი თანხების კლასიფიკაციის ქვეშ არსებული თანხები რეკლასიფიცირებულია 1,047,382 ლარის ოდენობით, კაპიტალში სხვა რეზერვების ნაწილში. აღნიშნული ცვლილება გავლენას არ ახდენს მოგებაზე ან ზარალზე, და არც 2024 წლის საწყის ნაშთებზე რადგან კომპანია გახდა სქემის მონაწილე 2024 წლიდან, თუმცა გამოიწვია რეკლასიფიკაცია ინდივიდუალური ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების ანგარიშში.

29. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად ხელმძღვანელობის მიერ 2026 წლის 31 მარტს.

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ ადგილი არ ჰქონდა სხვა მნიშვნელოვან მოვლენებს.